ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3722330

ნომერი: AR1559322

თარიღი : 20.11.2017

გაცემის თარიღი : 07.12.2017

გაცნობის თარიღი : 07.12.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ალეკო გობრონიძე , N 10 / ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , ავტოგასამართ ,,ვისოლის" მიმდებარედ (ნაკვეთი 02/104);

დამკვეთი-განმცხადებელი
- რევაზ ტყემალაძე პ/ნ 01024004230
- ჭავჭავაძის 12

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 ოქტომბრის №3617543 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 20 ნოემბრის №AR1559322 განცხადებით მომართა რევაზ ტყემალაძემ და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 17 ოქტომბრის №3617543 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 ოქტომბრის №3617543 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, ალეკო გობრონიძე ქუჩა N 10-ში, მუხიანის დასახლებაში , ავტოგასამართ ,,ვისოლის" მიმდებარედ (ნაკვეთი 02/104) არსებულ მიწის ნაკვეთზე ს.კ: №01.11.13.002.238, მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 18 ოქტომბრიდან 2018 წლის 18 აპრილის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტის ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: კომერციულ ფართბად ნაცვლად 2830.05 კვ.მ-სა დაფიქსირებულია 2829.7 კვ.მ, საზაფხულო ფართობად ნაცვლად 662.30 კვ.მ-სა დაფიქსირებულია 659.3 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად ნაცვლად 69.93 კვ.მ-სა დაფიქსირებულია 83.23 კვ.მ, დამხმარე ფართობად ნაცვლად 68.84 კვ.მ-სა დაფიქსირებულია 63.88 კვ.მ, საოფისე ფართობად ნაცვლად 223.30 კვ.მ-სა დაფიქსირებულია 206.85 კვ.მ, ხოლო საერთო ფართობად ნაცვლად 3854.42 კვ.მ-სა დაფიქსირებულია 3842.96.

სამსახურმა 2017 წლის 20 ნოემბრის №AR1559322 განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა სამსახურის 2017 წლის 17 ოქტომბრის №3617543 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და 2017 წლის 17 ოქტომბრის №3617543 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 ოქტომბრის №3617543 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: კომერციულ ფართობად დაფიქსირდეს 2830.05 კვ.მ, საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს 662.30 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად დაფიქსირდეს 69.93 კვ.მ, დამხმარე ფართობად დაფიქსირდეს 68.84 კვ.მ, საოფისე ფართობად დაფიქსირდეს 223.30 კვ.მ, საერთო ფართობად დაფიქსირდეს 3854.42

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 ოქტომბრის №3617543 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 ოქტომბრის №3617543 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.